ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი # 2

ქალაქი ბათუმი

21 სექტემბერი, 2018 წელი (17 : 30 სთ)

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
2. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვანელი.
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. თამარ ხუხუნაიშვილი - ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კოორდინატორი;
5. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
6. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
7. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
8. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი;
9. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 9, არ ესწრებოდა 2 .

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

საკითხი 1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

საკითხი 2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;

საკითხი 3. ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

საკითხი 4. საბჭოს შემდგომი სამუშაო გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა.

საბჭოს წევრის ნათია აფხაზავასა და სხვათა მოთხოვნით დაყენებული იქნა შემდეგი წინადადება :

მე-3 საკითხი ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომებისთვის, რადგან მოცემულ დროის მოკლე მონაკვეთში საბჭოს წევრების მიერ ვერ მოხერხდებოდა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძვლიანად გაცნობა და განხილვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წამოყენებულ საკითხს და დღის წესრიგის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი მიმდინარე სხდომის დღის წესრიგიდან იქნა ამოღებული.

შემდგომ კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს - ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად:

„საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს საკუთარი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს საბჭოს წევრები. საბჭოს თავმჯდომარის,მოადგილის და მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საჭოს არანაკლებ 3 წევრს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭოს წევრებმა დაასახელეს კანდიდატურები : -

მაყვალა კვირიკაძემ - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად დაასახელა - თამაზ თურმანიძე, აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირეს - კახაბერ გუჩმანიძემ, ზურაბ ჩიხლაძემ, თემურ კაკაბაძემ და გურამ ფუტკარაძემ.

იქედან გამომდინარე, რომ თამაზ თურმანიძე მოცემულ მომენტში იმყოფებოდა მივლინებაში, რის გამოც ვერ ესწრებოდა საბჭოს სხდომას - კახაბერ გუჩმანიძემ დასვა შეკითხვა მაყვალა კვირიკაძის მიმართ - იყო თუ არა თამაზ თურმანიძე ინფორმირებული აღნიშნულ ინიციატივაზე და ჰქონდა თუ არა მისგან შესაბამისი თანხმობა - რაც მაყვალა კვირიკაძემ დაადასტურა.

ნათია აფხაზავამ - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად დაასახელა მარიამ ბურკენაძის კანდიდატურა, რასაც ასევე მხარი დაუჭირეს - ნინო ინაიშვილმა და თამარ ხუხუნაიშვილმა. თუმცა მარიამ ბურკენაძემ უარი განაცხადა კენჭისყრაზე მისი კანდიდატურის დასახელებაზე.

სხდომამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატად კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრ - თამაზ თურმანიძის კანდიდატურა.

გაიმართა ღია კენჭისყრა : სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 9 წევრმა; შედეგად - 8 წევრმა მხარი დაუჭირა დასახელებულ კანდიდატურას, ხოლო 1 წევრი - ნინო ინაიშვილი იყო წინააღმდეგი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა - თამაზ თურმანიძე.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის საკითხზეც, ზურაბ ჩიხლაძემ დაასახელა - მარიამ ბურკენაძის კანდიდატურა, რომელსაც აქტიურად დაუჭირეს მხარი - კახაბერ გუჩმანიძემ და თემურ კაკაბაძემ.

სხდომამ საბჭოს მდივნობის კანდიდატად კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრ - მარიამ ბურკენაძის კანდიდატურა.

გაიმართა ღია კენჭისყრა : სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 9 წევრმა; შედეგად - 8 წევრმა მხარი დაუჭირა წამოყენებულ კანდიდატურას, ხოლო 1 წევრი - ნათია აფხაზავა იყო წინააღმდეგი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა - მარიამ ბურკენაძე.

არჩევნების ჩატარების შემდგომ საბჭო გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხზე - საბჭოს შემდგომი სამუშაო გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა.

საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს საბჭოს წევრებმა :

ნინო ინაიშვილმა - ისაუბრა ქალაქის ეკონომიკური განვითარების გეგმისა და ზოგადად პოლიტიკის თაობაზე, გამოთქვა სურვილი შესაბამისი სამსახურებიდან მიეღო ინფორმაცია მუნიციპალური შემოსულობებისა და იმის თაობაზე თუ რა ეკონომიკურ ჭრილში აპირებს

ქალაქი განვითარებას, ასევე რა ღონისძიებები ტარდება აღნიშნულთან დაკავშირებით. ნინო ინაიშვილი აქტიურად შეეხო ქალაქში არსებულ ისეთ მოუგვარებელ საკითხს, როგორიც გარე ვაჭორობაა და გამოთქვა სურვილი, რომ მუნიციპალიტეტთან ერთად საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად ჩაერთოს აღნიშნული საკითხის უფრო დეტალურად განხილვისა და შემდგომი მოგვარების საქმეში.

მაყვალა კვირიკაძემ - ასევე ისაუბრა ქალაქში არსებულ გარე ვაჭრობის საკითხის მოგვარების გზებზე და საკითხის განხილვაში ბიზნესის აქტიურ ჩართულობაზე.

ზურაბ ჩიხლაძემ - საბჭოზე იმსჯელა ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით ქალაქში არსებულ ხარვეზებზე, ასევე გამოთქვა თავისი მოსაზრებები საკითხის ეფექტურად გადაწ - ყვეტის მიზნით. ზურაბ ჩიხლაძე ასევე შეეხო ქალაქის მასშტაბით დღემდე მოუგვარებელ პარკირების საკითხს, იმსჯელა აღსრულების კუთხით არსებულ პრობლემატიკაზეც.

ნათია აფხაზავამ და კახაბერ გუჩმანიძემ - განიხილეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის და ასევე სატარიფო პოლიტიკის კუთხით არსებული საკითხები, რის თაობაზეც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები, მათი განხილვის საკითხი ასევე იყო ქალაქის ლანშაფტური დაგეგ-მარება და ეკოლოგია.

კახაბერ გუჩმანიძემ - დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ ქალაქის მაშტაბით განისაზღვროს სატარიფო პოლიტიკის ის პარამეტრები და მიდგომები რაც თანამედროვე სტანდარტებს უპასუხებს და სთხოვა საბჭოს წევრებს საკითხის უახლოეს სხდომის დღის წესრიგში შეტანა. ასევე, მან დააყენა საკითხი მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელი პირების საბჭოს სხდომაზე ეტაპობრივად მოწვევის თაობაზე, სადაც განხილული იქნება კონკრეტული სამ - სახურების წინაშე მდგარი გამოწვევები, რაც საშუალებას მისცემს საბჭოს უფრო სკურპუ - ლოზურად შესწავლილი საკითხები მიაწოდოს მერს და მუნიციპალიტეტს რეკომენდაცი-ების სახით.

ასევე კახაბერ გუჩმანიძემ თქვა, რომ მუშაობს და უახლოეს პერიოდში მოამზადებს შესაბამის საპროექტო განაცხადს და საწყის დოკუმენტაციას საერთაშორისო დონორებთან წარსადგე - ნად - კოდექსით გათვალისწინებული ნარჩენების სეპარაციის საქმეში (რაც 2019 წ-დან შევა ძალაში) ტექნიკური დახმარების (იგულისხმება აღჭურვილობა) შეძენის მიზნით რასაც რეკომენდაციის სახით წარუდგენს ქ.ბათუმის მერიას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს მიერ ქ. ბათუმის მერისთვის წერილის მომზადება და მიწოდება ეთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს კახაბერ გუჩმანიძეს.

თემურ კაკაბაძემ და ნათია აფხაზავამ - გამოთქვეს მოსაზრებები და დასვეს აქცენტები ინფრასტრუქტურულ პროექტებში არსებულ ხარვეზებზე, რაც ადაპტირებულ გარემოსთან ასოცირდება და მოითხოვეს საკითხის უფრო აქტიურად დაყენება შესაბამის სამსახურებთან.

ნათია აფხაზავამ - განაცხადა, რომ სასურველი იქნება თუ საბჭოს წევრები ასევე დამატებით უფრო აქტიურად იმუშავებენ იმ საკითხებზე, რაშიც ისინი უფრო მაღალი კომპეტენციის არიან, რაც ზოგადად სასიკეთოდ წაადგება და მეტი ეფექტურობით აისახება საბჭოს შემდგომ მუშაობაზე.

ნათია აფხაზავამ - ასევე სთხოვა საბჭოს მოამზადოს შესაბამის წერილი - ქ.ბათუმის ა(ა)იპ ,,საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს'' - უფროსის სახელზე რათა მისი მხრიდან მოწოდებული იქნას ის კონკრეტული მასალები და ასევე ინფორმაცია საკითხის მიმდინარეობაზე - რაც საბჭოს პირველ სხდომაზე (07 სექტემბერი) მის მიმართ იქნა დასმული.

წერილის მომზადება და მერისთვის მიწოდება ეთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს - კახაბერ გუჩმანიძეს.

ასევე, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია *დებულების მე- 2 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტის* თანახმად ეტაპობრივად სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე მსჯელობის, ასევე ურთიერთანამშრომლობის მიზნით მოიწვიოს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მოუსმინოს მათ, ასევე დაუსვას მათ შეკითხვები.

კახაბერ გუჩმანიძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ნინო ინაიშვილის ინიციატივას მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე ინფორმაციის მოსმენისა და განხილვის საკითხს.

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების მე- 3 მუხლის - ,,ბ, გ, დ, ე'' პუნქტებით გათვალისწინებულია :

ბ) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პროფილის გაძლიერებისა და დივერსიფიცირების ეფექტური ხელშეწყობა, ინვესტიციებისა და საგრანტო რესურსების მოზიდვისა და განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალიტეტის უფლება - მოსილების ფარგლებში, ტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზების საკითხებზე, ერთიანი საქალაქო პოლიტიკის ეფექტური გატარება, ორგანიზება და მართვა;

დ) მუნიციპალიტეტის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია;

ე) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე -

დაადგინეს : წერილობით ეთხოვოს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ქ.ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელი რგოლის წარმოდგენა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, სადაც ეთხოვებათ განსახილველად წარმოადგინონ შემდეგი საკითხები - სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიში თეზისების სახით, ზოგადი ეკონომიკური კუთხით მათ ხელთ არსებული სტატისტიკა და სამსახურის ხედვა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე და პროფილზე (თეზისების სახით).

წერილის მომზადება და შესაბამისი მიწოდება ეთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს - კახაბერ გუჩმანიძეს.

მსჯელობის შედეგად, საბჭომ შეაჯერა პოზიციები და *დაადგინეს*:

1. შემდეგ სხდომაზე მოუსმინოს - ქ.ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელობას და კითხვა-პასუხის რეჟიმში დააყენოს და განიხილოს არსებული საკითხები.
2. კახაბერ გუჩმანიძემ თეზისების სახით უახლოეს 1 თვის მანძილზე საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს რეკომენდაციები ნარჩენების მართვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და სატარიფო პოლიტიკაზე, ასევე უზრუნველყოს შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელი პირების მოწვევა.
3. თემურ კაკაბაძემ თეზისების სახით წარმოადგინოს მოკლე ინფორმაცია ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების კუთხით არსებულ ხარვეზებზე.
4. მაყვალა კვირიკაძემ თეზისების სახით ან სიტყვიერი მოხსენებით გააცნოს საბჭოს გარე ვაჭრობის კუთხით არსებული მდგომარეობა და გადაჭრის გზები.
5. კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებთან წინასწარი კონსულტაციით წარმოადგინოს საბჭოს უახლოესი 3 თვის სამუშაო გეგმა-გრაფიკის მონახაზი განსახილველად.
6. კახაბერ გუჩმანიძემ უზრუნველყოს მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს საბჭოს სხდომის მოწვევის უზრუნველყოფა და წევრთა ინფორმირება.
7. კახაბერ გუჩმანიძემ უზრუნველყოს საბჭოს სხდომების მაქსიმალური ღიაობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, მოქალაქეებისათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე უზრუნველყოს მას-მედიის აქტიური ჩართულობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ და სხვა აქტუალურ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

21 სექტემბერი 2018, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	მარიამ ბურკენაძე	სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორი თვით-მმართველობის კიდე-ბრუნვიერი.	558-98-23-23 Burkenadzem@gmail.com	მ. ბურკენაძე
2.	ზვიად ჩიტაია	ქალაქ ბათუმი, ს/ხ. ოლიმპიადა	577-14-13-45	[illegible]
3.	გურამ ფოცხიშვილი	ბულევარი ს.ხ. მნიშვნელობა კვარ. ნ.კარელიანი ს/ხ. სამ.ტელ	593-35-81-99 gurami.totkarpadze1951@mail.ru	[illegible]
4.	ნინო ინაიშვილი	სსიპ „ბათუმი"	577-41-85-25 nino_Inaishvili@yahoo.com	ნ. ინაიშვილი
5.	ნათია ავხანავა	საზოგადოებრივი საბჭოს ინფორმაციული, ბიუროს ექსპერტი	natia@civilin.org 599 777-185	[illegible]
6.	თომა ბაკაბაძე	ადგილობრივი თანამშრომელი ოფლოდინამიკაში	557 574 000 tomakakabadze@gmail.com	თ. ბაკაბაძე
7.	ძალუკა ყვირიკაძე	აჭარის რეგიონალური ასოციაციის აუდიტორი	599-53-49-60	ძ. ყვირიკაძე

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
8.	რაფაელ ხუხუნაიშვილი	სან. ჯანდაცვის სამინისტრო (საყოველთაო ჯანდაცვა) სოც. შოკლუ. საგანგებო [illegible] ფილიალი	599 368584	
9.				
10.				
11.				
12.				
13.				
14.				
15.				
16.				
17.				
18.				
19.				